

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო”

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 595336065

N 135

31/03/2017

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ხელაძეს

ბატონო გიორგი,


გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 29 მარტს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ სხდომა.

დანართი: სხდომის ოქმი №4 – 8(რვა) ფურცელი

პატივისცემით,

კახა ურუშაძე

ფრაქციის თავმჯდომარე



ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“
სხდომის ოქმი №4

ქ.ლანჩხუთი

29. 03.2017 წელი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე კახა ურუშაძე.

ფრაქციის წევრები:

იაჩხაიძე, გურამ კერესელიძე, ალექსანდრე სარიშვილი , ბესიკ ტაბიძე, თეიმურაზ
მარშანიშვილი, გიორგი ხელაძე, ელენე ნაჭყეაძე

მოწვეული პირი:

გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი **გიორგი ფაცურია**, გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი **თამარ ფირცხალაიშვილი**, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია**.

ფრაქციის თავმჯდომარემ, კახა ურუშაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აპრილის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი კ.ურუშაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი კ.ურუშაძე /

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანასთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი კ.ურუშაძე/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ბიუროსათვის, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი კ.ურუშაძე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის აუდიტორული შემოწმების ჩატარების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი კ.ურუშაძე/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი კ.ურუშაძე/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის, შეფასების და ანგარიშგების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი კ.ურუშაძე/

8. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი კ.ურუშაძე/

9. „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი კ.ურუშაძე/

10. „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი კ.ურუშაძე/

11. „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი კ.ურუშაძე/

12.სხვადასხვა

**ფრაქციის თავმჯდომარემ კახა ურუშაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:
მომხრე , წინააღმდეგი არცერთი.**

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აპრილის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიაშვილმა** მან აღნიშნა, რომ „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ორგანიზაციაში ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, რომლის მოთხოვნების შესასრულებლადაც გამგეობაში შეიქმნა კომისია, რომელსაც სრულყოფილი მუშაობისათვის ესაჭიროება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისი, ლანჩხუთის საკრებულოს მიერ დამტკიცებული წესი - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ, დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის შესახებ აღნიშნულიდან გამომდინარე, იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აპრილის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება:

დადგენილების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მოწონებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარემ კახა ურუშაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე 8 ,წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიაძე**. მან აღნიშნა, რომ „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის „ვ“ პუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტებს დაევალოთ განახორციელონ სათანადო ღონისძიებები, რათა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების 2017 წლის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ საბიუჯეტო ორგანიზაციებში (გარდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისა) ადმინისტრაციული/საოპერაციო ხარჯები (ძირითადად ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის „შრომის ანაზღაურების“, „საქონლისა და მომსახურების“ და „სუბსიდიების“ მუხლებში) შეადგენდეს არაუმეტეს 2016 წლის საკასო შესრულების მაჩვენებლის 90%-ს. ანალოზით ირკვევა, რომ შესაბამისი ღონისძიებების გატარება მიმდინარეობს შეფერხებით. გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ დაჩქარდეს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პარამეტრების „საქართველოს კანონის 23-ე მუხლის „ვ“ პუნქტის მოთხოვნის შესაბამისობაში მოყვანა. აღნიშნულის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული დაფინანსება შემცირდეს 100644 ლარით, მათ შორის შრომის ანაზღაურების მუხლი 99150 ლარით, საქონელი და მომსახურების ხარჯი 1494 ლარით. მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხარჯები 70312 ლარით, მათ შორის შრომის ანაზღაურების მუხლი 43100 ლარით, საქონელი და მომსახურების ხარჯი 27212 ლარით, ასევე შემცირდეს 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული დაფინანსება; ა(ა)იპ ლანჩხუთი ტექ-სერვის - 59600 ლარით, ა(ა)იპ სპორტული ცენტრის - 32200 ლარით, ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლა - 10000 ლარით, ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების - 24900 ლარით. გამგეობის ვალდებულების კლების მუხლი 5000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 5000 ლარით (ადმინისტრაციული შენობის ინტერნეტ ქსელის რეაბილიტაციისათვის).ასევე მან აღნიშნა რომ,გამგეობის სამხედრო აღრიცხვის,გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის წერილი საგაზაფხულო გაწვევისათვის წვევამდელთა ტრანსპორტირებისათვის დამატებით მოთხოვნილია 3000 ლარი.სამსახურის მიზანშეწონილად მიაჩნია დამტკიცებულ ასიგნების ფარგლებში შემცირდეს სხვადასხვა ომებსა და კონფლიქტებში მონაწილე ვეტერანთა დახმარების პროგრამა 2500 ლარი და გაიზარდოს სამხედრო სამსახურის ტრანსპორტის ხარჯი 2500 ლარით.

ალექსანდრე სარიშვილმა დასვა შეკითხვა თუ რა კუთხით აპირებდნენ ა(ა)იპების ხელმძღვანელები თავიანთი ბიუჯეტის შემცირებას, რაზეც როლანდ ლაშხიაძემ გააკეთა განმარტება, რომ ა(ა)იპების ხელმძღვანელებს ოფიციალურად წერილობით ეცნობათ მოსალოდნელი შემცირებების შესახებ, შემცირება ეხება როგორც ხარჯებს, ასევე სახელფასო ფონდსაც, ამიტომ ნებისმიერი ა(ა)იპი ვალდებულია კანონს დაემორჩილოს.მან ასევე აღნიშნა, რომ წერილში მითითებულია ციფრებიც, რომლებითაც ა(ა)იპების ხელმძღვანელებმა უნდა იხელმძღვანელონ და ერთი კვირის ვადაში წარმოადგინონ ბიუჯეტის გაშლილი ვარიანტი.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ალექსანდრე სარიშვილმა აღნიშნა, რომ გასულ თვეში დეპუტატების მოთხოვნით სახელფასო ფონდის 13 თვეზე დაგეგმვის მიზნით ბიუჯეტი გაიზარდა 150000 ლარით, ამიტომ ერთი თვის შემდეგ ბიუჯეტის შემცირება მას მიზანშეწონილად არ მიაჩნია, რასაც დაეთანხმა დეპუტატთა უმრავლესობა, ასევე მან დააყენა წინადადება, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოიყოს 3500 ლარი ჯანდაცვის ცენტრის ოთხი შტატგარეშე თანამშრომლის სამი თვის სახელფასო ფონდის დასაფინანსებლად, ასევე საკრებულოს აპარატისთვის ქსეროქსის შესაძენად ბიუჯეტში გამოყოფილია თანხა, რაც საკმარისი არ არის და აუცილებელია 500 ლარის დამატება, ასევე საფეხბურთო კლუბ „ლანჩუთის გურიას“ საჭიროა გამოიყოს 4100 ლარი სასტუმროს ხარჯებისა და კვების დავალიანების დასაფარად.

ფრაქციის წევრებმა ერთხმად აღნიშნეს რომ „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტში გათვალისწინებულ იქნას ყველა ზემოთ აღნიშნული შენიშვნა.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე: საკითხზე „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანასთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა **გიორგი ფაცურიამ**. მან აღნიშნა, რომ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გამგეობას 2017 წლის 13 თებერვლის N 227 წერილით მომართა სარეაბილიტაციო დღის ცენტრ „იავნანა“-ს (ს/კ 433 642356) დირექტორმა ქალბატონმა ციცინო ჩხარტიშვილმა სადაც დასმულია საკითხი ქ. ლანჩუთში მარჯანიშვილის ქ. N11-ში მდებარე შენობა-ნაგებობის და მასზე მიმაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 747 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) ს/კ27.06.56.86) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, სარეაბილიტაციო დღის ცენტრ „იავნანა“-ს ფუნქციონირებისათვის.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტების თანახმად მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით.

ყოველგვე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია გადაეცეს სარეაბილიტაციო დღის ცენტრ „იავნანა“-ს (ს/კ 433 642356) სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ქ. ლანჩუთში მარჯანიშვილის ქ. N11-ში მდებარე შენობა-ნაგებობა და მასზე მიმაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 747 კვ.მ მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) ს/კ27.06.56.86)

ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება:

დადგენილების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მოწონებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარემ კახა ურუშაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე 8,წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ბიუროსათვის, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგებლის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა გიორგი ფაცურიამ. მან აღნიშნა, რომ სამსახურს დაეწერა საქართველოს პარლამენტის წევრის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მაჟორიტარი დეპუტატის ქალბატონ ნინო წილოსანის წერილი ლანჩხუთისა და ჩოხატაურის N 60 მაჟორიტარული ოლქის ბიუროს ფინქციონირებისათვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ლანჩხუთში, კოსტავას ქუჩა N 37-ში მდებარე უძრავი ქონებიდან (ს/კ 27.06.52.114) ორი ოთახის უსასყიდლო უზუფრუქტის წესით გადაცემის შესახებ „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობის და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით.

ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება:

დადგენილების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარემ კახა ურუშაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის აუდიტორული შემოწმების ჩატარების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ალექსანდრე სარიშვილმა. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 140-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, წარმოდგენილია საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნა, მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის შემოწმების მიზნით დამოუკიდებელი აუდიტის მოწვევის თაობაზე.

ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მოწონებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარემ კახა ურუშაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო

გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 130-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სამართლებრივი ზედამხედველობის ხელშეწყობის მიზნით პრემიერ-მინისტრთან არსებულმა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიულმა დეპარტამენტმა, თავისი კომპენტენციის ფარგლებში „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 იანვრის N1 დადგენილებაზე განხორციელებული სამართლებრივი ზედამხედველობის შედეგად გამოვლენილ შეუსაბამობის თაობაზე, წარმოადგინა სამართლებრივი დასკვნა, რომელიც ძირითადად შეეხება დადგენილების ტექსტში „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული ვეტერანთა კატეგორიის აღნიშვნასა და სოციალური დახმარების მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაციის დაზუსტებას.

პროექტთან დაკავშირებით, ასევე გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურმა წარმოადგინა ინიციატივა, რომ ლანჩუთის მუნიციპალიტეტში აღრიცხვაზე მყოფი 170 მეორე მსოფლიო და ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში მონაწილე ვეტერანებიდან, იმ ბენეფიციარებს, რომლებიც დაავადებული არიან C ჰეპატიტით, დაუწესდეს შეღავათი და ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის სოციალური პროგრამებით გათვალისწინებული „სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამით“ სარგებლობისას არ მოეთხოვოს წარსადგენ დოკუმენტად ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულის შესახებ.

ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მოწონებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარემ კახა ურუშაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე 8,წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეშვიდე,მერვე,მეცხრე,მეათე,მეთერთმეტე საკითხთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძემ,მან აღნიშნა რომ გამგეობის სოციალურ საკითხთა,განათლების,კულტურის,სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურს შემოტანილი ჰქონდა „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ დადგენილების პროექტი ,რომელიც განხილულ იქნა რამდენიმე ფრაქციის და კომისიის მიერ და წარმოდგენილი პროექტი დაწუნებულ იქნა,ასევე მან აღნიშნა რომ, მიმდინარე წლის 23 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომლის თანახმადაც, 2017 წლის 1 აპრილის ნაცვლად 1 ოქტომბრამდე მუნიციპალიტეტებმა, უნდა მიიღონ მათ უფლებამოსილებაში შემავალი ნორმატიული აქტები, ხოლო „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი-მე-14 მუხლები, მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“-„ე“ ქვეპუნქტები და მე-2 პუნქტი და მე-16-მე-19, 21-ე და 23-ე-27-ე მუხლები ამოქმედება 2017 წლის 1 ოქტომბრიდან.

ამასთანავე, 2017 წლის 1 ოქტომბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე თითოეულმა მუნიციპალიტეტმა, კანონის შესაბამისად, უნდა უზრუნველყონ დაწესებულებების ეტაპობრივი ავტორიზაცია.

მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე მიზანშეწონილია გაგრძელდეს ადმინისტრაციული წარმოება პროექტების უკეთ შესწავლის, შეჯერების მიზნით და საკრებულოს 31 მარტის დღის წესრიგიდან ამოღებულ იქნას შემდეგი საკითხები:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის, შეფასების და ანგარიშგების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

3. „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

4. „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

5. „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძემ განმარტა, რომ გაგრძელდეს ადმინისტრაციული წარმოება ალტერნატიულ პროექტზე, რომელიც მისი თქმით კანონთან სრულ შესაბამისობაში არის მოყვანილი და მოწონებულია ფრაქციებისა და კომისიების მიერ.








ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ქართული-ოცნება დემოკრატიული
საქართველოს“ თავმჯდომარე

5. 

კახა ურუშაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

29 მარტი 2017 წელი
16.00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	კახა ურუშაძე	15:50	
2	ბესიკ ტაბიძე	15:58	
3	ალექსანდრე სარიშვილი	16:05	
4	გიორგი ხელაძე	16:00	
5	დავით ჩხარტიშვილი		
6	ია ჩხაიძე	16:00	
7	თეიმურაზ მარშანიშვილი	15:55	
8	ელენე ნაჭყებია	15:55	
9	თეიმურაზ ალექსაია		
10	გურამ კერესელიძე	15:55	